ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 13

6 მარტი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო -საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები-თამარ მათიაშვილი, ქვარა ჩართოლანი.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი- მამუკა მუმლაძე, მოადილე - მალხაზ ჭამპურიძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე,გოჩა თევდორაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მათ დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები №11-0118060977 (01.03.2018); №11-0118065153 (6.03.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ. №12-0318054161-03

3. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03180576-03

4.ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ. #18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03180576-03

5.ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის" (ს/ნ: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03180576-03

6.ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03180576-03

7. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი N 01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03180592-03

8. ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „გუდაური სქი რესორტის" (ს/კ: 204576066) გათავისუფლების თაობაზე. №12-03180592-03

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები №11-0118060977 (01.03.2018); №11-0118065153 (6.03.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ. მისი განმარტებით, მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი ინფორმაციით დაბა წყნეთში უნდა აშენდეს სპორტული დარბაზი, დარბაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისთვის შპს „ვეგა+-ის მიერ მომზადდა დოკუმენტაცია, რომლის ღირებულებაც შეადგენს 28 556 ლარს, სამსახურს „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა"(კოდი 08 08 04 01)პროგრამაში პირველ კვარტალში არ აქვს, გარდა ამისა პირველ კვარტალში არ არის საკმარისი თანხები 'სპორტული ღონისძიებების" პროგრამაშიც, გამომდინარე აქრედან სამსახური ითხოვს აღნიშნულ პროგრამებში პირველი კვარტლის გეგმების გაზრდას საერთო ჯამში 128600 ლარით. ასევე მერის სარეზერვო ფონდში საჭირო პირველ კვარტალში 200000 ლარის დამატება მომდევნო კვარტლებიდან თანხების

გადმოტანით, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მოხდარი ტერაქტის შედეგად დაზიანებულ კორპუსში მაცხოვრებელთა კომპენსაციისათვის. ასევე წარმოდგენილია საფინანსო სამსახურის მეორე წერილი, სადაც გლდანისა და საბურთალოს რაიონის გამგეობები, „გზების მოვლა შეკეთების„ პროგრამაში ითხოვენ პირველი კვარტლის გეგმების გაზრდას. კლიმატურმა პირობებმა კონტრაქტორ ფირმებს მისცა შესაძლებლობა საგზაო სამუშაოები რამდენიმე მისამართზე დასრულებინათ დაგეგმილზე ადრე.გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს ჯამში 263 000 ლარის დამატებას პირველ კვარტლაში, ხოლო საბურთალოს გამგეობა ითხოვს 634 000 ლარის დამატებას. დაბალანსება ხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების და კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამებით. მუხლობრივ ცვლილებებს ითხოვს „კეთილმოწყობის ღონისძიებების“პროგრამაში ისნის რაიონის გამგეობა. ა(ა)იპ „თბილისის მედიათეკების გაერთიანებ“-ის ვაკის ფილიალში მწყობრიდან გამოვიდა გათბობა-გაგრილების სისტემა. ფილიალის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, კულტუტის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური ითხოვს „თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობის“ პროგრამის პირველი კვარტლის გეგმის გაზრდას 46800 ლარით, რასაც აბალანსებს პროგრამით „შემოქმედებითი თბილისი“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის თხოვნით პირველი კვარტლის გეგმები „სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროგრამაში(კოდი 08 08 01 01) იზრდება 100000 ლარით და „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“(კოდი 08 08 04 01) იზრდება 28600 ლარით, ასევე საფინანსო საქალაქო სამსახურის თხოვნით, მერის სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 200 000 ლარით, შესაბამისად მომდევნო კავრტლის გეგემების შესაბამისად შემცირების ხარჯზე, ასევე გლდანის რაიონის გამგეობს თხოვნით პირველი კვარტლის გეგმა „გზების მოვლა-შკეთება გლდანის რაიონში“(კოდი 01 01 08) საქონელი და მომსახურების მუხლი იზრდება 247 300 და არაფინანსური აქტივების 15700 ლარით გზარდას , საბურთალოს რაიონის გამგეობა თხოვნით პირველი კვარტლის გეგმა „გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში“ (კოდი 01 01 13) სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების იზრდება 254 000 ლარით და არაფინანსური აქტივები იზრდება 380 000 ლარით, გამწვანების საქალაქო სამსახური თხოვნით „ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში 20 000 ლარის გადატანა ხდება არაფინანსური აქტივებიდან, საქონელი და მომსახურების მუხლში, „თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობის“ პროგრამაში(კოდი 07 03 02) პირველი კვარტლის გეგმა იზედება 46800 ლარით და რომელთა დაბალანსებაც ხდება სხვა პროგრამებში არსებული თანხების მომდევნო კვარტლებში შესაბამისად გადატანით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად

მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას. (დანართი 2 ფურცელი)

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი- მალხაზ ჭამპურიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება პროექტისათვის: „ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შემუშავება". პროექტისათვის გამოყოფილია 790 000 ევრო, აქედან 300 000 ევრო ჩადებულია 2018 წლის ბიუჯეტში, ხოლო 490 000 ევრო ვიღებით გრანტის სახით. პროექტი არის 15 თვიანი. პროექტის ფარგლებში მოხდება მგზავრთა ნაკადების შესწავლა, ახალი სამარშრუტო სქემის შემუშავება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ირაკლი ნადირაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ.

მან აღნიშნა, რომ ამხანაგობა „ლომისა"ს თავმჯდომარეები ითხოვენ სოფელ გლდანში მდებარე 26 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი: №72.13.28.861) საკუთრებაში გადაცემას პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით სიმბოლურ ფასად 1 ლარად, იმ ვალდებულებულებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში,მიწის ნაკვეთზე განთავსდება წყალმომარაგების ქსელისათვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური და უზრუნველყოფილი იქნება მისი შემდგომი ფუნქციონირება.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

მომხრე-7 გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ. #18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ამხანაგობა „ფიჭვები"ს თავმჯდომარე ითხოვს სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის №18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვმ ფართის მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი: №72.13.18.679) ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადაცემას სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, იმ ვალდებულებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში მიწის ნაკვეთზე განთავსდება წყალმომარაგების ქსელისათვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური და უზრუნველყოფილი იქნება მისი შემდგომი ფუნქციონირება. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე სატუმბი სადგურის განთავსებაზე დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა შესაძლებლად მიაჩნია თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. გამგეობა გამოთქვამს მზადყოფნას ამხანაგობა „ფიჭვები"ს 148854 ლარის სამუშაოების ხარჯების დაფინანსებაზე.

მომხრე-7 გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრეთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ. #18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის" (ს/ნ: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე .

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „გარდენიას" დამფუძნებელმა და დირექტორმა გამოთქვა სურვილი საკუთარი ხარჯებით განახორციელოს მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის გამწვანებითი სამუშაოები და მისი მოვლა-პატრონობა ერთი წლის განმავლობაში. სარწყავი წყლის საფასურს დაფარავს შპს „თბილსერვისი". თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ტერიტორიის გადაცემა თხოვების ფორმით გარკვეული პირობებით ერთი წლის ვადით.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

მომხრე-7 გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: .ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის" (ს/ნ: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე , საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, ვაკის რაიონის გამგეობის შეუამდგომლობის საფიძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი №4-ში (საკ/კოდი:№01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადაევცემა 47 ადამიანს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული ქონებაში სხვადასხვა ფართებით.საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ირაკლი ნადირაძემ, ირაკლი ზარქუამ, რამინა ბერაძემ.

მათ შეკითხვებზე განმარტეს ირაკლი თავართქილაძემ და ქვარა ჩართოლანმა.

მომხრე - 6 თავი შეიკავა- ირაკლი ნადირაძემ, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი N 01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის თქმით ამ შემთხვევაში 39 ადამიანს გადაეცემა საკუთრებაში სიმბოლურ ფასად ერთ ლარად წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი N 01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონებაში ფართები. მათ შუამდგომლობას უწევს ვაკის რაიონის გამგეობა.
მომხრე -6; თავი შეიკავა-ირაკლი ნადირაძემ, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი N 01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე„ საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ: 204576066) გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 31 აგვისტოს №31/08/05 განკარგულების და თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული თბილისის თვითმმართველი ერთულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „გუდაური სქირესორტს“ საკუთრებაში გადაეცა თბილისში,ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული 4993 კვმ მიწის ნაკვეთი(საკ/კოდი:81.21.02.180); 191832 კვმ მიწის ნაკვეთი(საკ/კოდი:81.21.02.188) და 3175 კვმ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1 და №2(საკ/კოდი: 31.21.02.190)

ხელშკრულების თანახმად კომპანიას უნდა განეხორციელებინა 5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია 5 წლის ვადაში, 2016 წლის 31 აგვისტოდე. თბილისის მთავრობის 2016 წლის 31 აგვისტოს №34.08.737განკარგულების და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 სექტემბრის №290 განკარგულების საფუძველზე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ შორის გაფორმდა შეთანმხება, რომლითაც გადავადდა საინვესტიციო ვალდებულება 2019 წლის 31 აგვისტომდე, ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი შესასსრულებელი სამუშაოების, მათი დასრულების ვადებისა და ინვესტიციის განხორციელების გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების ერთერთი პუნქტი ითვალისწინებდა საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

ვინაიდან შეთანმხება ძალაში შევიდა 2016 წლის 14 სექტემბერს, მხარეების მიერ ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 01,%, ჯამში- 65 000 აშშ დოლარის ოდენობით, რაზედაც მას ეცნობა წერილობით სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან. კომპანიამ გაასაჩივრა ეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. სააგენტოს მიერ შეტანილი იქნა სასამართლოში სარჩელი კომპანიისთვის 65000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ და სააგენტოსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 4931 ლარის გადახდა. კომპანიის მიერ წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასანართლო ექსპერტიზის 2017 წლის 25 დეკემბრის დასკვნა, რომლითაც წარმოდგენილია კომპანიის მიერ ინვესტიციის სახით გაწეული ხარჯები, რაც დღგ-ეს გარეშე შეადგენს 1 740208 ლარს (692788 აშშ). კომპანია ითხოვს 2017 წლის ბოლომდე შესასრულებელი 950000 აშშ დოლარის ინვესტიციის შემცირებას 692 788 აშშ -მდე და სხვაობის 257112 აშშ დოლარის გადანაწილებას 2018 წლის ბოლომდე და 2019 წლის 31 აგვისტომდე შესასრულებელი სამუშაოს ინვესტიციის ოდენობაში.

საკრებულოში წარმოდგენილია შესათანხმებლად კომპანიისთან დადებულ ხელშეკრულებში ცვლილება და პირგასამტხელოსაგან გათავისუფლება იმ პირობით, რომ კომპანია უარს იტყვის

სარჩელზე და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის , თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითვები არ ქონდათ.

მომხრე -6; თავი შეიკავა-ირაკლი ნადირაძემ, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ: 204576066) გათავისუფლების თაობაზე“ განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა